დანართი

ილიას სახელმიწიფო უნივერსიტეტის თეატრის შინაგანაწესი

1. **მოქმედების სფერო**

   წინამდებარე შინაგანაწესის მიზანია უზრუნველყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრში დასაქმებული პირების მუშაობის ორგანიზება, სამუშაო დროის სწორი განაწილება, დისციპლინის განმტკიცება, თეატრის ტერიტორიაზე წესრიგის დაცვა.

2. **სამუშაო დრო და მისი გამოყენება**

2.1. თეატრში დასაქმებული პირებისათვის მოქმედებს **ექვსდღიანი** სამუშაო კვირა, დასვენების დღეა ორშაბათი.

2.2. დასვენების დღის სამუშაო დღედ ჩათვლის შემთხვევაში (თეატრისა და უნივერსიტეტის მიერ მოწყობილი ღონისძიებების მსვლელობისას) თეატრში დასაქმებულ პირს დასვენების დღე უნდა მიეცეს უახლოეს ორ კვირაში.

2.3. მსახიობები თეატრში უნდა გამოცხადდნენ წარმოდგენის დაწყებამდე არანაკლებ ერთი საათით ადრე.

2.4. ტექნიკური პერსონალი უნდა გამოცხადდეს წარმოდგენის დაწყებამდე არანაკლებ ორი საათით ადრე.

2.5. სცენაზე დეკორაციის მონტაჟი უნდა დასრულებულ იქნას წარმოდგების დაწყებამდე მინიმუმ ორი საათით ადრე.

3. **თეატრის ფოიეში იკრძალება:**

3.1. უნივერსიტეტის სტუდენტების/უცხო პირების გაჩერება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას მოითხოვს რეპეტიციების განრიგი ან/და ეწყობა უნივერსიტეტის, თეატრის ღონისძიება.

3.2. ჩაის, ყავის, ან ალკოჰოლური სასმელის დალევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფოიეში ეწყობა უნივერსიტეტის, ან თეატრის სპეციალური ღონისძიება;

3.3. ხმამაღალი ლაპარაკი ან სხვა სახის ხმაური, განსაკუთრებით რეპეტიციებისა და სპექტაკლების მსვლელობის დროს.

4. **თეატრის ტერიტორიაზე იკრძალება:**

4.1. არაფზიხელ მდგომარეობაში თეატრის ტერიტორიაზე ყოფნა;

4.2. საგრიმიოროებში, სცენასა და დარბაზში ლექციების ჩატარება;

4.3. საგრიმიოროებში, სცენასა და დარბაზში სტუდენტების ყოფნა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას წარმოდგენა და/ან რეპეტიცია მოითხოვს;
4.4. სცენაზე, დარბაზსა და ფოიეში საჭმელისა და სასმელის შეტანა, გარდა იმ განსაკუთრებული შემთხვევებისა, როდესაც ამას წარმოდგენა და/ან უნივერსიტეტისა ან თეატრის მიერ ორგანიზებული ღონისძიება მოითხოვს;
4.5. ადმინისტრაციასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე სტუდენტების მიერ ღამის რეპეტიციების ჩატარება (22:00 საათის შემდეგ);
4.6. ფოიეში, სცენასა და დარბაზში თამბაქოს მოწევა, გარდა იმ განსაკუთრებული შემთხვევებისა, როდესაც ამას მოითხოვს წარმოდგენა და/ან ნებადართულია უნივერსიტეტისა ან თეატრის მიერ ორგანიზებული ღონისძიების გამო.
4.7. ტანსაცმლის, პირადი ნივთებისა და სხვადასხვა აქსესუარების შენახვა და დატოვება;
4.8. რეკვიზიტის, კოსტიუმების და თეატრის სხვა ნებისმიერი ქონების უნებართვო გატანა თეატრის ტერიტორიიდან;
4.9. ერთობლივი პროექტების დროს თეატრის დეკორაციის, რეკვიზიტისა და თეატრის სხვა ქონების გამოყენება რეჟისორებისა და მსახიობების მიერ, რომლებიც არ არიან ილიას უნივერსიტეტის თეატრალური ხელოვნების ცენტრის და/ან თეატრის თანამშრომლები.

5. თეატრის ადმინისტრაციულ ოფისში იკრძალება:

5.1. უცხო პირთა/ უნივერსიტეტის სტუდენტთა შემოსვლა თეატრის ადმინისტრაციასთან შეთანხმების გარეშე.
5.2. ადმინისტრაციასთან შეთანხმების გარეშე ტელეფონითა და კომპიუტერებით სარგებლობა, გარდა თეატრისა და თეატრალური ცენტრის თანამშრომლებისა;

6. დისციპლინარული პასუხისმგებლობა

დისციპლინარული პასუხისმგებლობა თეატრის შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში განისაზღვრება უნივერსიტეტში მოქმედი შინაგანაწესისა და სტუდენტთა ქცევის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით.